№ 115 მაისი 31, შაბათი 1886 მაისი 31, შაბათი № 115

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ.ს საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 1-ს ივლისს

ქართულ დრამატიულ დასისაგან გამართული იქნება უკანასკნელი წარმოდგენა:

მონასტრის ზღუდეთა შორის

ანუ

და ტერეზია

მონაწილეობას მიიღებენ კნ. ავალოვისა, მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მელიქოვისა ბბ. აბაშიძე, აწყურელი, მოხევე, გუნია და სხვანი.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებისამებრ.

დანიშნული 22 მაისს საგანგებო კრება

ქართულის დრამატიულის

საზოგადოებისა

გადიდო კვირისათვის, 1 ივნ., დილის 11 საათ. (არწრუნისეულ თეატრში).

მცირის დოღოთ

ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება წიგნი «საქართველოს სამოთხე» 10 მანათად. (3 1)

ტფილისი, 30 მაისს

ბ-ნი ყიფიანი რომ ეუბნება ბანკებს—რატომ 5% და 4% არ დააჯერებთ და ისე არა სესხულობთ ფულსაო, ამით უსათუოდ იმისი თქმა უნდა, რომ ეხლანდელი თქვენი სარგებელი გირავნობის ფურცლისა ექვსიდამ ხუთსა და ოთხს პრაცენტზედ ჩამოახდინეთო. თუ ეს არ ვიგულისხმეთ, სხვას არავითარს აზრს არ მიუდგება ნათქვამი ბ-ნის ყიფიანისა. ვსთქვათ, დავუჯერეთ და ოთხს აღარ ვიტყვით, ხუთზედ ჩამოვახდინეთ ჩვენის გირავნობის ფურცლის სარგებელი. რა გამოვა? ის გამოვა, რაც დღეს უტყუარად არის იმის თვალში, ვისაც ჯერ საქმე გამოუძიებია და მერე უთქვამს სათქმელი. ტფილისის ქალაქის საკრედიტო ბანკი თავის აბლიგაციებში (იგივე გირავნობის ფურცლში) 5%-ს იხდის და ჩვენი ბანკები 6%-სა. ფულის ბაზარი რა პასუხს აძლევს ან ერთს, ან მეორეს? დღეს პირველის აბლიგაციებს ათს თუმნიანს ყიდულობს 80 მანათად, მეორისას—97 მანათადა. წინა წერილში მოყვანილ ფორმულით გამოვა, რომ პირველს ნასესხები ფული უჯდება*) $6\frac{1}{4}\%$ მეორეს**)—$6\frac{38}{97}\%$. დიდი განსხვავებაა? ღირს ამაზედ ლაპარაკი? ღირს ამაზედ აღიანქოთის ატეხა და უცოდინარის კაცის გონების ამღვრევა ურარაო იმედითა? აქ განსხვავება სულ $\frac{1}{4}\%$-ზე ნაკლებია და თუნდ მთელი $\frac{1}{4}\%$. ვიგულისხმოთ, მაინც ბოლოს და ბოლოს ეს განსხვავებაც მარტო სიზმრად მოსაჩვენებელია. აი რა მიზეზით:

ბანკის ვალის წლიურ გადასახდელში სამი ნაწილია: სარგებელი სამატი, სარგებელი თავნის მხდელი და სარგებელი ბანკის სახარჯოდ და სათადარიგო თავნის შესადგენი. ციფირებით ასე გამოითქმის მათი რაოდენობა ვადა რომ $43\frac{1}{2}$ წელიწადი ვიგულისხმოთ, ესე, იგი, იგი ვადა, რომელიც სასოფლო მამულებზეა წესდებით დანიშნული: $6+\frac{1}{2}+1\frac{1}{2}=8\%$. 6% რომ 5%-ზედ ჩამოვახდინოთ, მაშინ თავნის მხდელმა სარგებელმა უნდა მოიმატოს $\frac{1}{4}\%$, თუ ვადა უცვლელად დარჩება, თორემ წინანდელი თავნის მხდელი სარგებელი $43\frac{1}{2}$ წელიწადს თავნს ვერ ააყენებს. ვისაც ეს არა სჯერა, ეგრედ წოდებულს ლაგარითმებს მიჰმართოს და ის დააჯერებს. ამ სახით გამოვა, რომ 5%-ად იშოვის ბანკი ფულს, თუ 6%-ად ბანკიდამ ვალის ამღებს არა თუ არავითარი შვება არ მიეცემა, არამედ ცოტად იზარალებს კიდეც. აი რა ანგარიშით: 5%-იან გირავნობის ფურცლის 100 მანათში 80-ს მანათზედ მეტს ბირჟა არ იძლევა, როგორც ამტკიცებს კურსი ქალაქის საკრედიტო ბანკისა, რომელიც ფულის ბაზრის კვალობაზედ იმისთანავე გარემოებაშია, როგორც ჩვენი ბანკები, მაშასადამე გამოვა: $\frac{5+100}{80}=6\frac{1}{4}\%$. თუ 5%-ზედ ჩამოხდება ჩვენი გირავნობის ფურცელი, მაშინ თავნის მხდელმა სარგებელმა უნდა მოიმატოს აწინდელზედ $\frac{1}{4}\%$. ამ სახით ბანკის ვალის წლიურ გადასახდელში ზემო-აღნიშნული სამი ნაწილი ასეთს სახეს მიიღებს: $6\frac{1}{4}+\frac{3}{4}+1\frac{1}{2}=8\frac{1}{2}$. 6%-იანი გირავნობის ფურცელი კი რომ დარჩეს, დღეს 97 მანათს იძლევიან 100 მანათიანში და მაშასადამე გამოვა: $\frac{6+100}{97}=6\frac{38}{97}\%$. ამ შემთხვევაში ის სამი ნეწილი ბანკის ვალის წლიურის გადასახდელისა ამ სახეს მიიღებს: $6\frac{38}{97}+\frac{1}{2}+1\frac{1}{2}=8\frac{38}{97}$. ამ სახით გამოდის 5%-იან გირავნობის ფურცლით ნაშოვნი ფული $8\frac{1}{2}\%$ უჯდება ვალის ამღებს და 6%-იან გირავნობის ფურცლითკი—$8\frac{38}{97}\%$. მეორე შემთხვევაში უფრო ნაკლებ უჯდება, ვიდრე პირველში იმიტომ-რომ $8\frac{38}{97}$ ნაკლებია $8\frac{1}{2}$-ზედ. ესეთი მეტ-ნაკლებობა იქმნება ყოველთვის რა კურსიც უნდა აიღოთ გირავნობის ფურცლისა, იმიტომ-რომ თუ 6%-იანი აიწევს, ან დაიწევს, იმის კვალობაზედ 5%-იანიც აიწევს და დაიწევს.

უკეთუ ამის დასარღვევად იმაზედ მიგვითითებენ, რომ სახელმწიფო ბანკმა თავის გირავნობის ფურცელს 5%-ი დაუნიშნაო—ეგ მარტო წინდაუხედაობის მაგალითი იქნება მიმთითებელის მხრით. იმიტომ-რომ თუ 5%-იანის ფურცლით სახელმწიფო ბანკი 100-ს მანათს მიიზიდავს ნაღდს ფულს 6%-იანით 120 მანათს მიიზიდავს და გამოვა რომ ბანკის ვალის ამღებელს წლიური გადასახდელი უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ნაკლებიც მოუვა, ვიდრე პირველში. აი საბუთიც: სახელმწიფო წლიური გარდასახდელი ასზედ სულ 5 მანათია და 75 კაპეიკი, თუ გირავნობის ფურცელი 5%-იანია და თუ 6%-იანი, მაშინ ეგ წლიური გადასახდელი 6-ი მანათი და 75 კაპეიკი იქნება ას-ოცზედ. ასზედ 5 მანათი და 75 კაპეიკი უფრო მეტია, ვიდრე ას-ოცზედ 6-ი მანათი და 75 კაპეიკი, რადგანაც $\frac{675\times100}{120}=5{,}62\frac{1}{2}$, ესე იგი, ასზედ ამ შემთხვევაში მოვა 5 მანათი და $62\frac{1}{2}$ კაპეიკი და არა 5 მანათი, 75 კაპეიკი, როგორც პირველ შემთხვევაში მოდის.

---

*) $\frac{5+100}{80}=6\frac{1}{4}$.

**) $\frac{6+100}{97}=6\frac{38}{97}$

ფელეტონი

ჩვენი გულ-გრილობა

გახსოვს, მკითხველო, რა აღტაცებით მივეგებენით ახალ დაარსებულ ქართულს თეატრს, ახალ დაარსებულს წერა-კითხვის საზოგადოებას და სხვათა? დიდი ხანი არ გაუვლია მას შემდეგ, და აბა თვალი გადავავლოთ, დღეს რას ვხედავთ?

გულის წადილი გვქონდა, რომ სასარგებლო საზოგადო საქმე გაგვეკეთებინა, მოვისაზრეთ, საზოგადოებათა წესდება შევადგინეთ, წარვუდგინეთ მმართებლობას, დაამტკიცეს და ახლა სურვილთან იმედი გვქონდა, რომ ჩვენი გარჯილობა სხვა-დასხვა საზოგადოებათა საქმეში შეგვეძლო გვეცადნა.

სურვილი დიდი გვქონდა, იმედი ერცელი, განუზომელი, გვიხაროდა, აღტაცებით გვიხაროდა.

⁂

განა გასაკიცხია ის აღტაცება და სიხარული? არა მგონია. ვისაც გულში ცოტაოდენი სიკეთის სურვილი შერჩენია, ყოველთვის გაიხარებს, როდესაც ხედავს, რომ საზოგადო საქმის წარმატების მსურველნი ჰკრეფენ ერთად თავის ძალ-ღონეს საზოგადო საქმისათვის: წერა-კითხვა ჩვენში ნაკლებად არის, სასურველია გავავრცელოთო; თეატრს დახმარება ეჭირვება, დავეხმაროთო; შევაერთოდ ერთად ჩვენი დაყოფილი, ცალკ-ცალკე თვითოობით მოსაქმე ღონით და ამ შეერთებულის ძალით ვიმუშაოთო.

⁂

ჩვენს ცხოვრებაში სათვითაოდ და ერთობრივად დღე მუდამ ერთმანერთის (რომ მეტი არა ვთქვათ) კინკლაობას დაჩვეულთათვის ეს აზრი სასიხარულო აზრია და აბა რატო არ გავიხარებდით? კინკლაობას დაჩვეულები ახლა ძმურად, მორიგებით, მშვიდობიანად ვაპირებდით ერთად საზოგადო საქმის მზრუნველობას. ჩვენ აქამომდე თვითონ ჩვენ ჩვენ თავს ვუსაყვედურებდით, გარეშე უცხო თესლის კაცი გვკიცხავდა, რომ ქართველები ერთმანერთში მოურიგებლები ხართო, გუთნის შებმაშიაც მხარს ვერ აძლევთო და ერთმანერთს დავიდარაბას უმართავთო. აბა როგორ არ გავიხარებდით, როდესაც საკუთარის სურვილით საზოგადოებას ვარდგენდით, და მმართებლობას წესდებასაც ვამტკიცებინებდით? სასიხარულო იყო და გვიხაროდა.

⁂

ვის არ გაეხარდებოდა? იმას, ვისაც თავის დღეში არაფრის სიხარული და სიყვარული არ გამოუვლია, ვისაც თავის დღეში საზოგადო საქმის ზრუნვა ფიქრში არ გაუვლია, ვისაც მარტო თავისი თავი ჰყვარებია და სიცოცხლის მცნებად მხოლოდ ერთი მცნება სწამებია: თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო.

მაგრამ ამას ვისზე ვამბობთ? იმ დაწინაურებულ საზოგადოების ნაწილზე, რომელსაც სწავლა რაიმე მიუღია და უმრავლესობის უმეცრებისაგან გამოსულა. ესაყვედურება იმათ, თუ ვერ გაიგეს ეს სიყვარულის სიხარული და მათი უბადრუკება და ვაება ამ გაუგებრობაშია.

დაგვცინოდნენ: რას მასხრობენ, რას მიჰქარავენ, რის საზოგადოება, რა საზოგადოებაო! ეყარნონ, თავ-თავისი საკუთარი საქმე გააკეთონ, ის ურჩევნიათო; გროში ჯიბეში არ უჭყავით, ცოლ-შვილი მშივრები ჰყავთო და საზოგადო საქმეებზე ზრუნავენო, შინ ყმაწვილი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, და სხვა და სხვა... ვინ მოსთვლის.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ ჯურის ხალხი ცოტა იყო, იმათ ხმას სიმართლე არ მიუძღოდა და აბა ვინ აჰყვებოდა. დაილოცა კეთილის საქმის ჭეშმარიტება. არ გაქრება, არ დადნება და ქვეყანაზე თუნდა ცოტა მომხრე ჰყავნდეს, პირველ თავის გამოჩენაზე, თან-და-თან უმრავლდება რიცხვითაც და ღონითაც.

მხოლოდ ბედნიერია ის ქვეყანა და ხალხი, საცა ეს წარმატებაა.

⁂

ჩვენდა სანუგეშოდ, წარა-კითხვის საზოგადოების დაწესების სარგებლობაზე წინაამდეგი აზრი სრულებით არ არსებობს და ბეჭდვით ხომ არავის გამოუთქვამს. საჭიროების აღიარება კი არა, გადაუმეტებიათ კიდეც, რომ ეს საზოგადოებანი ყოვლად სამკურნალო წამალს მისცემენ ჩვენს ყოველს ნაკლებულობას და ნაკლულევანებასაო, თითქოს ყოვლად შემძლებელნი იყვნენ ყოველის ნაკლულევანების მოსპობისათვის.

⁂

აღტაცების და სიხარულის შემდეგ ამოვირჩიეთ მმართველობანი საზოგადოებათა, მივანდეთ მათ საქმეების მართვა და მივყურებდით.

დღეს, როდესაც საზოგადოებათა მმართველობას ეჭირება დახმარება და შემწეობა მრთელის საზოგადოებისაგან და თვითოეულად ყოველის წევრისაგან, ჩვენ წევრნი შორიდამ თამაშას ვუყურებთ. წელიწადში ერთხელ საერთო ყრილობის დღეს არცკი შევიყრებით, შევიტყოთ, რა გაუკეთებია წლის განმავალობაში მმართველობას. წლის საწევრო ფულის შეტანაც კი გვეჯავრება. ყოველი ჩვენგანი ასე ფიქრობს, მე თუ ასეთი ვარო, სხვებმა იარონო, თავისი ვალი აასრულონო; მე იქნება მიზეზები მქონდესო, საზოგადოების ყოფა-ცხოვრება მარტო ჩემზე ხომ არ არის დამოკიდებულიო. მეორეც, მესამეც და მეათეც ამას იძახის.

რა სახელი ჰქვიან ამ საქციელსა? ვითომ საზოგადოების მნიშვნელობას უარს ვყოფდეთ და სასარგებლოდ არ მიგვაჩნდეს? არა, ამას ვერ ვიტყვით. ვითომ გული არ შეგვტკიოდეს საზოგადოების უკულმართად საქმის მსვლელობაზე და მისი წარმატება არა გვსურდეს? არა.

მაშ რა ჰქვიან ჩვენს საქციელსა, თუ არ გულ-გრილობა, გულ-გრილობა და გულ-გრილობა.

⁂

კეთილის საქმის გაკეთება თურმე მარტო სურვილით არ იქნება. სურვილი კეთილისა ყველასა აქვს, ყველას სწყურიან, ყველას ენატრება. მაგრამ კეთილის საქმის ასრულებას ორი საგანი ჰქონია თურმე საძირკვლადა: მუდამ შეუწყვეტელი ზრუნვა ამ საქმისა და მუდამ შეუწყვეტელი გარჯა მისთვის. ორი ეს მასალა საძირკველს უდებს ადამიანის ყოველ გვარ მოქმედებასა არამც თუ საზოგადო საქვეყნო საქმეში, არამედ თვითოეულის კაცის საკუთარ საოჯახო საქმეშიაც.

მარტო მაგ მცირედით რომ უმძიმდებოდეს ტვირთი წლიურის გადასახდელისა ბანკის ვალის ამღებელს, კიდევ სათქმელი არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ 5%-იან გირავნობის ფურცელს თუ ამოქმედებთ 6%-იანის მაგიერ, მაშინ ან თავნის მხდელმა სარგებელმა უნდა იმატოს, ან აღებულის ვალის ვადამა. ერთიცა და მეორეც ცალკ-ცალკე სიმძიმეს კრედიტისას აორკეცებს და ასამკეცებს 6%-იანის ფურცლის შედარებით. მაგალითებრ, სახელმწიფო ბანკს იგივე თავნის მხდელი სარგებელი აქვს სასოფლო მამულზედ, რაც ტფილისის ბანკსა, სახელდობრ, $\frac{1}{2}$%. რაკი სახელმწიფო ბანკის გირავნობის ფურცელი 5-იანია და არა 6%-იანი, სახელმწიფო ბანკის ვალს ვალის ამღები იშორებს $48\frac{1}{2}$ წელიწადში და 6%-იანი კი რომ იყოს, მაგავე ვალს $43\frac{1}{2}$ წელიწადში მოიშორებდა. ამ სახით თაბაუთი მთელი ხუთი წელიწადია, ესე იგი, მთელი ხუთი წელიწადი ვალის ამღებმა აღებულს ვალზედ $5\frac{3}{4}$% მეტი უნდა შეიტანოს ბანკში ყოველ წლივ. ვალი რომ 10,000 მანათი იყოს, ხუთს წელიწადში მოვალე ბანკისა მისცემს ბანკს 2875 მანათით მეტსა იმაზედ, რასაც 6%-იან გირავნობის ფურცელზედ მისცემდა. ვადა რომ $43\frac{1}{2}$ წელიწადი დარჩომილიყო, მაშინ 5% გირავნობის ფურცელს თავნის მხდელი სარგებელი $\frac{1}{2}$%-ის მაგიერ, $\frac{3}{4}$% უნდა ჰქონოდა. ასე რომ ვალის ამღებელს ყოველ წლივ $\frac{1}{4}$% უნდა მეტი ეხადნა მთელს $43\frac{1}{2}$ წელიწადის განმავალობაში. ვისაც ეს არა სჯერა, განვიმეორებთ, იმას ლოგარიფმი დააჯერებს. მაშასადამე, გამოდის, რომ ვისაც ჰსურს სადგილ-მამულო კრედიტი გააიეფოს და ამის სახსრად გვირჩევს 6%-იანი გირავნობის ფურცელი 5%-იანზედ ჩამოვახდინოთ, იმას ჰსურვებია ვაის გაგვყაროს და ვუის შეგვყაროს და თუ ეს მიეტევება ამისთანა მრჩეველს, მარტო იმითი მიეტევება, რომ სურვილი კარგი ჰქონია, თუმცა მშიერს პურის მაგიერ ქვას აწვდის უნებურად.

ამ სახით უკეთუ ერთი და იგივე გარემოებაა ფულის ბაზრისა და ერთი და იგივე ნდობა, გირავნობის ფურცელს რომ სარგებელი მოაკლოთ, ბანკიდამ ვალის ამღებელს არამც თუ შეღავათს და შვებას რასმეს მისცემთ, არამედ უფრო დაუმძიმებთ. ამ გზით შვებას რასმეს ნუ მოელით ბანკიდამ ვალის ამღებისათვის, თორემ შვების მაგიერ უფრო მეტს ტვირთს აჰკიდებთ და ქებულს ძმობის მაგიერ გმობილს ამერიკელობას გავუწევთ.

ამიტომაც ტყუილად გუნებას იფუჭებენ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ გირავნობის ფურცლის სარგებლის დაკლებით შვება რამ მიეცემა ბანკიდამ ვალის ამღებელს და ჩვენი ბანკები კი მითამ ამაში ჯიუტობდნენ და ამ შვებას მარტო ჭირვეულობის გამო არ იძლეოდნენ. აშკარაა, ბ-ნ დიმიტრი ყიფიანს რომ მოსურვებია სესხის გაიეფება, იმისთვის კი არ მოუკიდნია ხელი, რაც მართლა გააიეფებს, არამედ იმისათვის, რასაც არავითარი არაქათი არა აქვს ეგ სასწაული მოახდინოს. ესეც ერთი მაგალითია მისი, რომ ბ ის დიმიტრი ყიფიანის საქებურს სურვილს საქმის ცოდნა არ დაჰხმარებია.

დაგვრჩა კიდევ გასარჩევი რამოდენიმე საგანი ამ სარგებლის დაკლების თაობაზედ.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ ქალაქის ხალხი მთაწმინდობასა დღესასწაულობდა. დღესასწაულს ხალხი ჩვეულებრივად ბევრი დაესწრო. ყოველ კუთხიდგან დილით საღამომდე ხალხი მიდი-მოდიოდა. მლოცავებიც ბევრნი იყვნენ, უმეტესი ნაწილი კი ისე სასეირნოდ გამოსული ხალხი ეტანებოდა ეკკლესიას. განსაკუთრებით ბევრი გამოეყვანათ დედებს თავიანთი გასათხოვარი ქალები, ბედის საპოვნელად. ყოველ მხრიდამ ზურნის ხმა და არღნის ჭიჭყინი ისმოდა. მშვენიერი სანახავი იყო მთა-წმინდის ქვემო მოედანი, სადაც პეპელასავით აჭრელებული ხალხი დილით-საღამომდინ ზღვასავითა ღელავდა. ყოველ-დუქნის წინ ლხინი და ქეიფი იყო ქალაქის ხალხისა. მთა-წმინდის არე-მარე საზოგადოდ ვერაფერი სასეირნო ალაგია და ამიტომაც ხალხი ერთი-ერთმანერთს აწყდებოდა, ჰყლეტა, გინება და ლანძღვა ხშირი იყო.

⁂ წარსულს ორშაბათს მოხდა სამეურნეო საზოგადოების კრება, როგორც უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს. ამ კრებაზედ უნდა გაერჩიათ ბ-ნის დინგელშტეტის წინადადება «ქ. ტფილისში კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამართვის შესახებ». ამ კრებას საზოგადოების მწევრთა გარდა, ბევრნი სხვანიც დაესწრნენ. თვით წინადადების შემომტანის, ბ-ის დინგელშტეტის აზრით, ყველა სამეურნეო იარაღები, სასოფლო ნაწარმოებნი, პირუტყვი, ფუთკარი, აბრეშუმი, ღვინო და სხვანი მრავალნი უნდა იყოს ამ გამოფენაზეო. საზოგადოებამ სასარგებლოდ დაინახა სამეურნეო გამოფენა, მაგრამ ერთ საგანზედ მწევრთა რიცხვი ორად გაიყო. ზოგნი იძახდნენ, რომ გამოფენა საერთო, საზოგადო იყოსო, ესე იგი ყველა ნაწარმოები იყოს გამოფენილიო და მეორეების აზრით-კი, უფრო საჭირო საგნებიო, როგორც, მაგალითებრ, ღვინის წარმოებისა და აბრეშუმის გაშენებისაო. უკანასკნელთა დასძლიეს 14 ხმით 12-ტი და გარდასწყვიტეს გამართონ სამეურნეო გამოფენა, მაგრამ სულ ყველასი კი არა, ზოგიერთა საჭირო საგნებისა, და ცალკედ არჩეულს კომისიას, მიანდეს, რომ მან შეამუშაოს ამ გამოფენის პროგრამა, აღმოაჩინოს გამოფენისთვის საჭირო ხარჯის წყაროები, დანიშნოს გამოფენის დრო და მის გამართვას შეუდგეს. კომისიამ ამ საგანთა შესახებ თავისი მოხსენება უნდა მოამზადოს და საზოგადო ყრილობაზედ წაიკითხოს გასარჩევად არა უგვიანესს პირველის ოქტომბერისა. ამ კომისიის წევრებად ამოარჩიეს წევრნი საზოგადოებისა: ბბ. დინგელშტეტი, თავადი ჯორჯაძე, ვერმიშევი, მელიქ-კარაკოზოვი, ლერისიე და ასტაპოვიჩი.

⁂ ტფილისის სამეურნეო საზოგადოებასვე განუზრახავს ტფილისში, ან მის ახლო-მახლო ადგილებში, სადაც პირუტყვის მოშენებას მისდევენ, გამართოს სამაგალითო რძისა და მისგან გაკეთებულის საგნების წარმოების ქარხანა. ამ საგნის განხილვას უეჭველია მომავალ შემოდგომას შეუდგებიან.

⁂ მეტად უჩივიან რიყის ქუჩაზედ მდებარე სახლებს, რომელთაც ისე ვერ გაუვლით გვერდზე, რომ ცხვირზე ხელი არ იტაცოთო. სიმყრალეს და ავ სუნს უფრო ახშირებენ ყოველ სახლის ეზოში მთელი გროვა ნაგვებისაო. კარგი იქმნებოდაო, რომ ქალაქის გამგეობას მიექცია ყურადღება როგორც ამ ქუჩაზედ, ისე ამ ქუჩის ახლო-მახლო მყოფ ქუჩებზედაო.

⁂ კარგი იქმნებოდა აგრეთვე რომ ჩვენს წყლის-მზიდავებზე—მეთულუხჩეებზე მიექციათ ყურადღება და წყლის მოტანაზე რამე გარკვეული ნიხრი დაენიშნათ, თორემ ამ ბატონების წრეს-გასულ ქცევას და ბოროტ-მოქმედებას საზღვარი არა აქვს. მოგეხსენებათ, რომ ყველა ეზოს თავისი მეთულუხჩე ჰყავს და სხვას არავის შეუძლიან იმ სახლებში წყლის მიტანა, თუ არ იმ ეზოს მეთულუხჩესა. ისე აქვთ პირობა შეკრული ერთმანერთში, რომ თუ თავისი ეზო არ არის, თულუხ წყალში რომ მანათი აძლიოთ, წყალს არ მოგიტანენ. ამიტომაც თქვენი ეზოს მეთულუხჩე თქვენი ბატონია, თუ რაცა გთხოვათ იმდენი არ მიეცით, უწყალოობით ამოგაჭრობთ. კიბის ორ საფეხურზე რომ ატანა მოუნდეს, თულუხზე სამ შაურსა და აბაზს გახდევინებს, და შენც, მეტი რა ღონე გაქვს, უნდა გადაიხადო.

⁂ ამას წინად სამკურნალო რჩევამ გაარჩია და დაამტკიცა, რომ ბებიებსაც შეეძლოთ გამართონ ცალკე სადგომები, სადაც ორსულ-დედაკაცებს მოლოგინება შეეძლებოდეთ. ამ საქმის შესახებ რჩევამ წესები შეადგინა და დაურიგდა ყველა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებათა.

⁂ როგორც ამბობენ, მოსკოვის შეძლებულთ პირთ მთელი კამპანია შეუდგენიათ და განზრახვა აქვთ, რომ კავკასიის სამკურნალო წყლები გამოიკვლიონ, გასინჯონ და თუ სასარგებლო იქნება, თავის ხარჯით აწარმოვონ, მშვენიერად გააწყონო.

⁂ სავაჭრო პოლიციის ზედ-მხედველს ბ-ნ ყორღანოვს კიდევ აღმოუჩენია ექვსის მოვაჭრის ხელში მრუდე სასწორები და ყალბი გირვანქიანები. ეს პირნი სასამართლოში არიან მოწვეულნი საპასუხოდაო.

⁂ გუშინ ერთ მომრიგებელ-მოსამართლეებთან გაურჩევიათ ვილაც ყაჩუროვის საქმე, რომელსაც სანი-

---

ეს მარტივი ჭეშმარიტება თურმე დღევანდლამდის არა გვცოდნია ჩვენ დალოცვილებს. ჩვენ ასე გვეგონა, რაკი კეთილ-საქმის სურვილი გვექნება, სურვილი და ქმნა ერთიაო. რაკი სურვილი და იმედი საქმის წარმატებისა გულში გვიღვივისო, საქმეც გაკეთდებაო. ჩვენ გვეგონა, სურვილი კისერში ცემით ფეხს გადაგვადგმევინებსო და იმედი წინ-მიზიდვით წარგვიტაცებსო, ორივე ერთად გვასაქმებსო. რასაკვირველია, უსურვილოდ და უიმედოდ არა იქნება-რა, მაგრამ ამას ხელიც უნდა და მოქმედებაც, რომ ერთიც ასრულდეს და მეორეც. თურმე ეს არ ვიცოდით.

⁂

ან საიდგან გვეცოდინებოდა! ძველის ჩვეულებისამებრ, როდესაც რაიმე საქმე ჩვენი შინაური, საოჯახო არ მიდის წარმატებაში, ბრალს პირველად ჩვენში, ჩვენს პიროვნობის ნაკლულევანებაში კი არ ვეძებთ, ჯერ სხვაგან ვეძებთ. აქაც ამ საზოგადოებათა საქმის ფეხის უკუ-ქცევას და მძიმედ წინ-მსვლელობის მიზეზს მხოლოდ ამორჩეულ მმართველობათა გაუმჭრიახობას ვაბრალებდით.

— ბატონო, მმართველობა ამოვირჩიეთ, საქმე მივანდეთ—ეწარმოებინათ და არაფერს კი არ გვიკეთებენო.

დიახ და პატიოსანი. ვთქვათ, მმართველობამ კარგის ანგარიშით არ დააწყო თავისი მოქმედების პლანი.

თუ ეს ასეა მართლა და რაღა არის უეჭველად საჭირო?

ისა, რომ მოვიდეთ საზოგადო ყრილობაზე წინათვე მომზადებულის მოსაზრებით, და ჩვენი რჩევა მივსცეთ, რაც საწადელია და უფრო სასარგებლო.

ასე ვირჯებით წევრნი?

სრულებითაც არა. ჩვენ გარე-გარე დავრბივართ და მითქმა-მოთქმას ვუნდებით მმართველობაზე საერთოდ, ანუ საკუთრად მის რომელსამე წევრზე. არა ვცდილობთ გავიცნოთ საქმეების მართვა საზოგადოებისა, არას დროს ახლოს არ მივალთ მმართველობასთან რისამე გამოსაკითხად და გასაგებად, ანუ რისამე რჩევის ან დახმარების მისაწვდენად. მხოლოდ ვლაპარაკობთ და ამ ლაპარაკსა ვკმარობთ, თითქოს დიდს საქმეს ვაკეთებდეთ სხვის ნაკლულევანებაზე ლაპარაკითაო, და ეს ლაპარაკი გაისმის წევრთა შორის, თითქოს განგებ ეშმაკი შესჩენოდესთ, რომ საქმისთვის მუშაობის ნაცვლად ამ მითქმა-მოთქმის სიამოვნებით დაატკბოს.

ეს წევრების გაწიწმატებული მითქმა-მოთქმა განა მუშაობაა საზოგადოებისათვის? თუ სულ უბრალო და მტკნარი გულ-გრილობა?

⁂

დანიშნულია საზოგადო ყრილობა. წევრები თქვენა გგონიათ მოვლენ და იტყვიან თავისას?

იმდენი არ შეიყრება, რომ უეჭველად კრება არ გადაიდოს. აგერ მეორე ყრილობაა, მცირეოდენი რიცხვი მოსულა. მმართველობა კი თხოულობს თავის ანგარიშს წასულის წლისას და მომავლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას. გაიგონებთ განა რაიმე შესამჩნევს შენიშნვას წევრთაგან, ან რაიმე წარმოდგენილს წინადადების განხილვასა? არა, თითოოროლა კანტი-კუნტად ჩაკერებულ სიტყვის მეტს ვერას მოისმენთ.

აკი მითქმა-მოთქმა ბევრი იყო, რატომ აქ არავინ წარმოადგინა თავისი აზრი საუკეთესოდ საქმის მართვისათვის? ან თუ უკმაყოფილოა მმართველობაზე, რატო ამორჩევის დროს უკეთესები არ ამოარჩია თუ ეგულებოდა და თუ არ ეგულებოდა, რატო თავის შემწეობას და დახმარებას არ მოაწვდენს?

ამიტომ რომ, ზრუნვას და მუშაობას ჯერ არა ვართ შეჩვეული; ტიტინსა ვართ შეჩვეული და ეს გვეადვილება. ეს რა არის, თუ არ იგივე გულ გრილობა?

⁂

საშინელი საწამლავია ეს გულ-გრილობა საზოგადო საქმისათვის, როდესაც წევრებში საზოგადო ჭირსავით ფესვი გაუდგამს;—უეჭველია ეს ჭირი მის მმართველობასაც შეეყრება და უთაურობად იქცევა. გულ-გრილობა ერთის მხრით და უთაურობა მეორეს მხრით აბა რა სიკეთეს მოუტანს რომელსამე საზოგადოების საგანსა, რაც უნდა მაღალი იყოს ეს საგანი და რაც უნდა ადვილი გასაკეთებელი იყოს.

ყოველის საზოგადოების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რაც ერთს კაცს არ შეუძლია აასრულოს, ის საქმე კაცთა შეერთებით გაკეთდეს. თუ შემადგენელი საზოგადოებისა თვითოეულად გულ-გრილია, არა რაა,—მისგან არა რა უნდა გამოვიდეს ისე, როგორც $0+0+0+0=0$, და მისი წარმომადგენელიც, ესე იგი მმართველობა საზოგადოებისაც არა რა იქნება და მისი ნამოქმედარი — არარაობა.

⁂

დღეს არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებათა არა გაუკეთებიათ რაო. ეს ჭეშმარიტების წინააღმდეგი იქნებოდა. მას იმდენი გაუკეთებია, რაც ჩვენში ერთის კაცის ღონეს აღემატებოდა. მაგრამ ეს საბუთი არ არის იმისა, რომ მეტის მოხერხება არ შეიძლებოდეს.

ხოლო საქმე მომავალი ზრუნვაა. ის მოხსენებული სამწუხარო ჭირი, გულ-გრილობა თან-და-თან ჩვენში ძლიერდება. დღეს ჩვენ საზოგადოებათა ღონის-ძიებაც ნაკლებათა აქვთ, საქმეების ხელშესაწყობათა, დახმარება წევრთაგან ნაკლებია, და ამის გამო მოქმედებაც ნაკლები.

ამ გვარი შემთხვევა ყოველს საზოგადოებას შეხვდება თავის ყოფნაარსების დროსა და მისი ნაკლულევანება ყოველთვის საზოგადოებას აფიქრებს და მიზეზს უძებნის. ჩვენთა საზოგადოებათა წევრთაც ვალდებულება აქვთ დაუფიქრდნენ ნაკლულევანების მიზეზებსა. მაშასადამე, მის გულ-გრილობაზე ანუ გულ-მხურვალეობაზეა დამოკიდებული ამ საზოგადოებათა დაცემა, ანუ წარმატება.

ამ გვარი გაჭირების წამი ფრიად სამწუხარო წამია და ყოველის წევრისათვის საზრუნველი.

⁂

ენატრობდით ამხანაგობას, ძმობას, საზოგადოებას. დაგვებადა იგი. ალტაცებით გვიხაროდა. ამ ახალ დაბადებულს ზრდა უნდოდა და მოვლა; ჩვენ დაუდევრობამ დაგვძლია და ყმაწვილს ფეხი ვერ ავადგმევინეთ, ლამის დაკუტდეს. არა ვფიქრობთ დროზე მიშველებასა, რომ კუტად არ დაგვირჩეს და სასიხარულოდ დაბადებული, სატირლად არ დაგვირჩეს.

ვ.

ტარული კომისია აბრალებდა, რომ ვითომ მას გაეყიდნა დამპალი თევზი და სულ მოკიდებული, სრულად გაფუჭებული ძეხვი. ყაჩაღოვს სასამართლომ ფულით ჯარიმა გადაახდევინა.

⁂ ონიდგან მოუწერიათ: თუ სეტყვამ ან სხვა რამემ არ დაგვიშალა, მშვენიერი მოსავალი მოგველის რაჭველებსაო. მარტში დიდი სიცივეები იყო ჩვენში, მაგრამ მოსავლისთვის სრულებით ხელი არ უხლია და არა გაუფუჭებია-რაო.

⁂ იქიდგანვე იწერებიან: ცოფს ჩვენში დიდი ხანია არჩენენო. ამ სენის მოსარჩენად რაღაცა შინაურს წამლებსა ხმარობენო. განსაკუთრებით ერთი ოჯახია რაჭაში, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან კარგად არჩენს ყოველ-გვარს სატკივარსაო. ეს ოჯახობა—ხმალაძეები არიანო, და ბევრიც მოურჩენიათ ცოფით ავად-მყოფიო. ესენი სოფ. სორისში სცხოვრებენ და მამა-პაპიდამ ექიმობას მისდევენო. უკანასკნელმა ხმალაძეთაგანმა ცოფის წამალი სოფელ სორის მღვდელს ასწავლა და ახლა ესეც კარგად არჩენსო, თუმცა არავის კი არ უმჟღავნებს, და არ ასწავლის წამალსაო.

⁂ სურამიდგან მოუწერიათ: ამ დღეებში დაასრულეს ახალის რკინის ხიდის კეთება გზა-ტკეცილზეო. ამ ხიდის საჭიროებას დიდი ხანია ჰგრძნობდა როგორც სურამელები, აგრეთვე სურამზე მახლობელ სოფლის მცხოვრებლებიო. ეს ხიდი ძალიან მშვენიერია და, როგორც ეტყობა, მაგარიც უნდა იყოსო. მაისის 25-ს სურამის საზოგადოებამ სადილი გაუმართა ინჟინერს მ. და მადლობა გადაუხადა ხსენებულის ხიდის აშენებისათვისაო.

⁂ ბორჩალოდგან მოუწერიათ, რომ წელს პურისა და ქერის მოსავალი კარგი მოგველისო. ზოგს ადგილებში თიბვა კიდეც დაიწყესო. აგრეთვე კარგი პირი უჩანთ ხილეულობასა და ყურძენსაო. ჯერ-ჯერობით ყურძენს არავითარი სნეულება არ ეტყობა და ეს უფრო ხელს უწყობს ვაზის მოსავალსაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი, 22 მაისს. ვისაც კი დაუვლია ლეჩხუმი და კარგად გაუცვნია ეს კუთხე,... ათი, თუ თორმეტი წელიწადი მეტი იქნება რაც ლეჩხუმის თავად-აზნაურობამ ააგო სახლი ლაილაშში სკოლისათვის, დაარსა ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელიც მთავრობის ხარჯით ინახება, და ის არის და ის, ამით დაასრულა თავისი ზრუნვა სწავლა-განათლების შექნის გამო. დაარსების შემდეგ აღარავითარის ზრუნვით აღარ შეუწუხებიათ თავი დამაარსებელთ, არაფერი არ უფიქრნიათ, რომ სკოლა ცოტაც არის წინ წასულიყო, ორ-სამკლასიან სასწავლებლად მაინც გადაკეთებულიყო, რომ თავად-აზნაურობის ახალ თაობას მისცემოდა პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც. დიახ, ამ საგნისთვის ფიქრი და ზრუნვა ყველას სხოვნიდამ ამოუშლია და მეტ ტვირთად ჩაუთვლია!.. ჩვენის აზრით, ყველაზედ უფრო საჭირო ჩვენის საზოგადოებისათვის ეხლა ის არის, რომ ამ საგანს მიაქციოს მთელი თავის ყურადღება, არ დაზოგოს არც შრომა და არც ხარჯი და დაიფუძნოს ისეთი სკოლა, რომელმაც მისცეს ჩვენს შვილებს ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლა და გონების საზრდო. მიჰბაძონ იმ მაგალითებს, რომელიც ყოველ-დღე თვალ-წინ აქვთ, იკისრონ თვითონ, ვალად დაიდონ სასკოლო ფულის გარდასხდა. მაშინ, რასაკვირველია, სკოლა უფრო ნაყოფიერს გზას დაადგება და საზოგადოებაც ეგრე გულ-გრილად არ დაუწყებს ცქერას. ამ აზრის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ ამას ეჭირება გონიერი და საქმის კარგად მცოდნე წინა-მძღოლი, და სანატრელია, ამისთანა კაცი მალე აღმოსჩენოდეს ხსენებულ საზოგადოებას...

რაოდენს გულ-გრილობასა და უზრუნველობას ზემო აღწერილ საგნის გამო იჩენს ლეჩხუმის თავად-აზნაურობა, იმოდენ მხურვალე ზრუნვას სწევს თავის ღირსების დამტკიცებისა და შეგნების საქმეში. ეს საგანი მწვავე საგანი შექნილა ჩვენის აზნაურობისათვის. არც ერთი შემთხვევა არ იქნება ისეთი, რომელიც ჩვენს საზოგადოებას თავს უყრის, რომ პირველად ამ საგანზედ არ იქონიონ სჯა და ბაასი. გაჩნდება თუ არა ლეჩხუმში მთავრობის წარმომადგენელი, პირველი სათხოვნელი უცილებლად ეს საგანია. როგორც მოგეხსენებათ, არა მარტო ლეჩხუმისა, სრულიად სამეგრელოს თავად-აზნაურობის გვაროვნობისა და მათი ღირსების დამტკიცების საქმე ერთობ აირ-დაირია, ერთობ ვრცელი და ბოლო-მოუღებელი შეიქნა. ამ საგანზედ, როგორც უკვე ვიცით, ორჯელ იყო, მთავრობის განკარგულებით, საზოგადოების მიერ არჩეული კომისია, მაგრამ ეს კომისიები საქმის რიგიანად წაყვანისა და დამთავრების მაგიერ, შეიქმნენ უმთავრესი მიზეზი ხსენებულის საქმის დახლართვისა და გაჭიანურებისა;...თერთმეტს ამ თთვეს ჰქონდათ თავ-მოყრილ საზოგადოებას ამ საგანზედ ბაასი სოფ. ორბელს სასოფლო სასამართლოს სადგურში, რომელთაც ხანგრძლივი ბაასისა და რჩევის შემდეგ ვალად დასდეს თავიანთ წინამძღოლს თ. ჩიქოვანს, რომ იგი წავიდეს ქუთაისს ზემოხსენებულ საგანზედ მოსალაპარაკებლად გუბერნიის მარშალთან, რომ ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს საცა რიგია და ამ საქმეს დასასრული მიეცეს. ბევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ვინც ორივე კომისიისაგან ცნობილია, ის მიღებული და დამტკიცებული არის ხელმწიფე იმპერატორისაგანაო და კიდეც შეუძლიანთ მიიღონ სიგელებიო. უმრავლესობა კი იმ აზრისა იყო, რომ სანამ მთელი სამეგრელოს გვართა საქმეები არ გათავდება, მანამ დამტკიცებას ვერავინ მიიღებსო. რომელი გვარიც კომისიებს არ განუხილავთ, ისინი თხოულობენ რომ იმათი ღირსება კომისიამ განარჩიოს. დეპუტატ-სობრანიაში გადაცემა საქმისა და იქ თავის ღირსების დოკუმენტებით დამტკიცება ერთობ საძნელოდ მიაჩნიათ. ვნახოთ, როდის დასრულდება ეს საქმე, ან რა საშუალებას მიიღებს აქაური თავად-აზნაურობის წინამძღოლი ამ მართლა და საყურადღებო საგნის გამო.

ნამდვილად შევიტყეთ, რომ ლეჩხუმის მაზრის უფროსი ბატ. როდზევიჩი გარდაუყვანიათ ქუთაისის მაზრის უფროსად, გარდაცვალებულის თ. ჩიჯავაძის ადგილზედ.

ქაიხოსრო გელოვანი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

აი თითქმის ერთი წელიწადია, რაც მთელის ევროპის ყურადღებას იპყრობდა ბალკანის ნახევარ კუნძული, ყველას აფიქრებდა და აწუხებდა ესრედ წოდებული „აღმოსავლეთის საქმე“. აქედამ მოელოდა განსაცდელი ევროპის მშვიდობიანობასა. და აი ახლა თავი იჩინა საფრანგეთის საქმემ, რომელიც არა ნაკლებ განსაცდელს უქადის ევროპას, ვიდრე „აღმოსავლეთის საქმე“. საქმე იმაშია, რომ ამ ხანებში გამოსულა საფრანგეთში წიგნი: ‹Avant la bataille› (ომის წინად), რომლის დაწერას საფრანგეთის სამხედრო მინისტრს ბულანჟეს თურმე აბრალებენ. ეს წიგნი ცხადად გვიმტკიცებსო, ამბობს გაზეთი „Современныя извѣстія“, რომ საფრანგეთი აღარ ერიდება გერმანიას და პირ-და-პირ იწვევს საომრადაო. ასეთი დანიშნულება აქვს მართლა წიგნსა, თუ არა, ნამდვილად ვერას ვიტყვით, გაზეთი კი თითქმის გადაჭრით ამბობს, რომ ამ ახლო ხანებში უთუოდ უნდა მოველოდეთ ამ ორ სახელმწიფოთა შორის შეტაკებასაო, და თანაც ჰფიქრობს, რომ საფრანგეთს უნდა დარჩეს გამარჯვებაო.

როლი გამოიცვალაო,—ამბობს გაზეთი, და ეხლა გერმანია უფრო უნდა შიშობდეს, ვიდრე საფრანგეთი, გერმანიის სიმრთელეს უფრო მეტი განსაცდელი მოელის, ვიდრე საფრანგეთისასაო. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ ევროპიის სახელმწიფოებისათვისაო. ეხლა ყველას გერმანიაზე უჭირავს თვალი, რასაც გერმანია იტყვის, ყველა იმის სიტყვას ემორჩილებაო. ესეთი დამორჩილება დიდი შეცდომილებაა, ცრუ-მორწმუნებაა, რომელსაც კარგა ხანია დრო წაუვიდაო. მოვიგონოთ, როგორ უცქეროდა ევროპა ამ ოცდა-ათის წლის წინად ნაპოლეონს: განა ეხლა ბისმარკი ნაპოლეონს არ გვაგონებსო! საფრანგეთ-გერმანიის ომის წინად, მთელი ევროპა ისეთივე მოწიწებითა და შიშით შესცქეროდა ნაპოლეონს, როგორც ეხლა ბისმარკს, და არავის თავში კი არ მოსდიოდა, გარშემო მიეხედ-მოეხედა და შეემჩნია ის ძალა, რომელიც მაშინ არც კი სჩანდა და ბოლოს კი ისე მძლავრად თავი იჩინაო. გერმანიამ თავის დრო მოჭამა და ეხლა აღარავისთვის საშიში არ არისო, რამწამს გერმანია სხვის საქმეში გარევას მოიწადინებს, მაშინვე თავს წამოიღებს ამისი მტერი, რომელსაც თხუთმეტი წელიწადია გული ვერ მოუბრუნებია და ყოველთვის მზად არის დამარცხებისთვის სამაგიერო გადუხადოსო.

ეს გარემოება, გაზეთის აზრით, ძალ-ღონესა ჰმატებს რუსეთსა და შემთხვევას აძლევს „აღმოსავლეთის საქმის“ გადაწყვეტაში ისე იმოქმედოს, როგორც თვითონა ჰსურს და ყური არ ათხოვოს იმასა, გერმანია რას იტყვისო.

⁂

ამ ხანებში გამოვიდა რუსეთის მწერლის გრეჩის ‹წერილები ჩემის ცხოვრებისა›. ამ წერილებში სხვათა შორის მოყვანილია თურმე რამდენიმე ამბავი იმპერატრიცა ეკატერინეს ცხოვრებიდამა. აი გაზეთი ‹Южанинъ›-ი სხვათა შორის რას მოგვითხრობს:

ერთხელ დედოფალი კაი გუნებაზე იყო და როდესაც რამდენსამე საქმეს ხელი მოაწერა, თავის მდივანსა ჰკითხა:

- როგორა ჰფიქრობ, ძნელია კაცის ხელში დაჭერა, ბრძანებლობა?

— ვგონებ, დედოფალო, რომ მაგაზედ ძნელი საქმე ქვეყანაზედ არა არის რა.

— სრულიადაც არა,—უპასუხა დედოფალმა, ამ საქმისათვის საკმაოა მხოლოდ ორი-სამის წესის ცოდნა, მეტი არ არის საჭიროვო.

—გეთანხმებით, თქვენო დიდებულებავ, მაგრამ ეს წესები ისეთი საიდუმლოა, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ დიდის ჭკუის კაცისათვის, გენიოსისთვის არის მისაწდომელი.

— სცდები, ეს წესები თითქმის ყველასათვის არის ცხადი. გინდა გითხრა?

— როგორ არ მინდა, თქვენო დიდებულებავ!

— მაშ ყური დამიგდე: ა) პირველი წესი და კანონი —საქმე ისე წაიყვანე და აწარმოვე, რომ ყველას ეგონოს და ყველა დაარწმუნო, ვითომ თვითონ იმათ ესა ჰსურდათ...

— კმარა, დედოფალო,—სთქვა გამჭრიახმა მდივანმა: თუ მოვახერხე და ეს ერთი წესიც მოვიხმარე ცხოვრებაში, ესეც საკმაოა ჩემთვის, დანარჩენი საჭირო აღარ არისო.

⁂

გაზეთი „Новости“ ერთს ახირებულს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც, თუ მართალია, ესრედ-წოდებულ „მაღალის საზოგადოების“ საგანგებო სურათს წარმოგვიდგენს. აი გაზეთი რას ამბობს:

ერთმა პეტერბურგის დიდმა მამულის პატრონმა ლაპარაკი ჩამოაგდო ხალხზე, ე. ი. თავის მამულის ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებზე და სხვათა შორის შემდეგი სთქვაო: „წარმოიდგინეთ, ამ საცოდავ გლეხებს სალამური სტოლებიც (ночные столики) არა აქვთო.“

ოჰ, შეუბრალებელო უმანკოებავ! სწორედ ეს პატივცემული „დიდი კაცი“ ინსტიტუტში უნდა იყოს გაზრდილი!

სხვა-და-სხვა ამბავი

სხვა-და-სხვა სახსარი გაჭირების დროს

შემწეობის აღმოჩენა სიცივისაგან დაზრულთათვის და გაფიჩხებულთათვის.—ძალიან გაციებულ-გაყინული არას ოდეს არ უნდა შეიტანოთ უცებ თბილს ოთახში, უეცარი სითბო მოჰკლავს და არამც თუ გამოაბრუნებს. ყველაზედ კარგი ის არის, თუ ამ გვარად დაზიანებულს პირველ ხანს დერეფანში ამყოფებთ და იქ უშველით თუ რამე ეშველება. როდესაც დაზრული ერთის ადგილიდგან მეორე ადგილას გადაგაქვთ, ფრთხილად უნდა მოეპყრათ, რადგანაც როცა დაზრულია კაცი, ცხვირი, ყურები, თითები და სხვა ნაკვთი სხეულისა ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ შესაძლოა დაიმსხვრნენ. ყინვით დაზრულს დერეფანში რომ გადაიტანთ, მაშინვე უნდა გახადოთ ტანისამოსი, თუ ტანისამოსის ხდა გაგიჭირდეთ, მაკრატელით შესჭერით ტანისამოსი და მთელს ტანზედ, პირის-სახის გარდა, ყინული, ან თოვლი უნდა შემოადოთ. როდესაც ყინული ან თოვლი ტანზედ დნობას დაიწყობს და დაზიანებულს კანი გაუწითლდება, მაშინ ცივს ლოგინში უნდა ჩააწვინოთ იმავე დერეფანში და წყალში დასველებულის მაუდით უნდა დაუწყოთ ზელა. როდესაც დამზრალის ტანი ცოტად მორბილდება, უნდა სუფთა პირ-სახოცით ტანი შეუმშრალოთ, დაზილოთ ცოტათი შემთბარის მაუდის ნაჭრით, ფრთხილად პირში ჰაერი ჩაჰბეროთ, წყლითა და ზეთით სასაქმებელი გაუკეთოთ, და ფილასი, ან ღრუბელი ცივ წყალში დასველებული ისე უნდა გასწუროთ დაზიანებულის ტანზედ, რომ წინწკლები გულის კოვზთან ეცემოდეს. როდესაც დამზრალს სიცოცხლის ნიშნები გამოაჩნდება და ავად მყოფი მთქნარებასა და სუნთქვას დაიწყებს, მაშინ ნიშადურის სპირტი, ან ძმარი უნდა ასუნებინოთ და პირში ჩაასხით ერთი, ან ორი კოვზი თბილი ჩაი, ან ანწლისა და ცაცხვის ჩაი და ზედ ცოტაოდენი ღვინო, ან არაყი დაასხათ. ამ სასმელის შემდეგ ავათ-მყოფს ოფლი მოუა. როდესაც გონზედ მოვა, უნდა ნელთბილ ოთახში შეიტანოთ, სუფთა ტილოთი გაამშრალოთ, თბილს ლოგინში ჩააწვინოთ და თბილი სასმელი რამე დაალევინოთ, ცოტა რომისა, ან არყის დამატებით. ყველა ეს სახსარი უნდა იხმაროთ ხუთის, ან ექვსის საათის განმავალობაში და ხშირად ეს სახსარნი საკმარისნი არიან, რომ დამზრალი მოარჩინოთ და უეჭველს სიკვდილს გადაარჩინოთ. თუ ადამიანს რომელიმე ცალკე ასო აქვს დაზრული, ასო თოვლით უნდა დაუზილოთ, ვიდრე ეს ასო მოძრაობას შესძლებდეს, ვიდრე სიწითლე მოუვიდოდეს, ე. ი. ვიდრე თეთრს ფერს დაჰკარგავდეს. ამის შემდეგ ეს ასო ქაფურის სპირტით, ან არაყით უნდა დაზილოთ და ბოლოს ქონი წაუსვათ. თუ დაზრული ასო დაწყლულდა, ბატისა, ან ღორის უმარილო ქონი უნდა შემოადოთ.

სახსარი წყალში დამრჩვალთათვის. — წყლიდგან ამოყვანილს მაშინვე უნდა გაუსუფთაოთ ნესტოები, პირი, ყურები, ლაში და ქვიშა მოაცალოთ და საბნით გადაიტანოთ ახლო სადმე სახლში. როდესაც სახლში მიიტანთ ექიმის მოსვლამდე შემდეგი ღონე უნდა იხმაროთ: ყველაზედ უწინარეს უნდა გაატიტვლოთ, თბილს ლოგინში ჩააწვინოთ ისე კი, რომ მარჯვენა გვერდზედ იწვეს და რომ თავი და გულმკერდი დანარჩენ სხეულზე მაღლა ედვეს; შემდეგ მთელს სხეულზედ შემოაწყეთ თბილი ბალიშ-საბნები, რომელთ შუა ცხელის წყლით სავსე ბოთლები უნდა ჩააწყოთ, და ავად-მყოფს გულის კოვზთან თბილის წყლით სავსე ძროხის ბუშტი დაადოთ. როდესაც ამ გვარად გაათბობთ დამრჩვალს, საბნის ქვეშ ზელვა უნდა დაუწყოთ მაუდის ნაჭრით, ან სხვა რითიმე და ეს ზელა ფეხებიდგან უნდა დაიწყოთ და ყელამდე ახვიდეთ. ამასთანავე როგორმე ჰაერი უნდა ჩაჰბეროთ ავად-მყოფს პირში და როცა ფერდები ამოემსება, ბერვას თავი უნდა დაანებოთ და ხელ-ახლავ უნდა მაგრად დაუზილოთ მკერდი ხელის დაჭირებით ქვევიდამ ზემოდ და არა ზევიდამ ქვემოდ. შემდეგ უნდა დაალევინოთ სასაქმებლად ან ორი სტაქანი თბილი წყალი და არა ცხელი, ანუ თბილი რძე ერთის კოვზის მარილითა და ძმრითა. ყოველ ათის წუთის შემდეგ უნდა ასუნებინოთ ცხარე ძმარი, ან ნიშადურის სპირტი. საფეთქლები და ყურებს უკან მაგრად უნდა უზილოთ სპირტით, ან ძმრითა. ყველა ნათქვამი სახსარი იქამდე უნდა იხმაროთ, ვიდრე ავად-მყოფი თვალებს გაახელდეს და ყლაპვას შესძლებდეს, მაშინ-კი კოვზით უნდა დაალევინოთ თბილი ჩაი ანწლისა, ჟოლისა, პიტნისა, გვირილისა და ან ჩვეულებრივი ჩაი.

დეპეშა

27 მაისს

პეტერბურგი. გუშინ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა უავგუსტოესნი პირნი გატჩინოდამ პეტერგოფში გადაბრძანდნენ საცხოვრებლად.

გამოცხადდა, რა საშუალება უნდა იყოს მიღებული, რომ ებრაელებმა წესიერად გარდაიხადონ ხოლმე სამხედრო ბეგარა. ეს საგანი მოხსენებული იყო სააგენტოს დეპეშაში 28 მარტიდამ.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ მოწოდებულ იქმნას 1886 წელს ჯარისა და ფლოტის საჭიროებათათვის 235,000 კაცი.

„Новое Время“ იუწყება, რომ სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცა ფინანსთა მინისტრის აზრი იმის თაო-

ბაზედ, რომ უწინდელ სახასო გლეხებს საკომლო ხარჯის მაგიერ, აგრეთვე სატყეო გადასახადის ნაცვლად და სხვა-და-სხვა ხარჯისა ერთმეოდეთ მამულების გასასყიდი გარდასახადი, რომელიც ერთობ უფრო ნაკლები იქმნება, ვიდრე ეხლანდელი გადასახადი. მამულის გამოსასყიდ გარდასახადს გლეხები ნაწილ-ნაწილ გარდიხდიან, ისე რომ მთლად ეს საქმე გათავდება 1931 წელსაო.

ვლადიმირი. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ყველა, ვისაც ჰბრალდებოდათ, რომ უწესოება მოახდინეს მოროზოვის ქარხანაზედ.

ლონდონი. გლადსტონი ფიქრობს, სთხოვოს დედოფალს, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევანები დანიშნოს.

პეშტი. გუშინ კვლავ მოხდა უწესოება. პოლიციამ გაჰფანტა ბრბო ხალხისა.

პარიჟი. გუშინ პრინცების განდევნის გამო შემდგარის კომისიის მოხსენება წაიკითხეს პალატაში. მოხსენებაში სწერია, რომ განიდევნონ ყველა პრინცები გამოუკლებლივ. საკამათო ბაასი ამ საგანზე ხვალ დაიწყობაო.

ბრიუსელი. არჩევანები პალატის დეპუტატებისა კათოლიკეთა დასის სასარგებლოდ გათავდა. ახალ პალატაში იქმნება 97 კათოლიკე და 41 ლიბერალიო.

29 მაისს

ლონდონი. როგორც ისმის, დედოფალი თანხმაა, რომ პარლამენტი დათხოვნილ იქმნასო. უთუოდ 14 ივნისისათვის დაითხოვენ პარლამენტსაო. მოელიან გლადსტონის მანიფესტას ქვეყნის მიმართ.

პეშტი. გუშინ საღამოს კვლავ მოახდინეს უწესოება; ქალაქის უმთავრესს უბნებში ჯარები იდგა და ამისათვის უწესოება ძალიან ვერ გაძლიერდაო.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ ახალ სარკინისგზო რენტის განაწილების დროს, ვინც ას თუმანზე მოაწერა ხელი, სრულიად დაკმაყოფილებულნი იქმნებიანო; დანარჩენ ხელის-მომწერთაგან თითოეული მიიღებს რენტას ასის თუმნისას და მაგას გარდა კიდევ 4% მომეტებულს ფულზე იმის გამოკლებით, რაც ათ თუმანზე ნაკლები იქმნებაო.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3-დამ 2½%-მდე.

მიუნხენი. რადგან კოროლი ავადმყოფია და ისეა ავად-მყოფი, რომ უთუოდ დიდხანს ვერ შეიძლებს სახელმწიფოს გამგეობას, საკოროლევოს რეგენტად გამოცხადებულ იქმნა ბიძა კოროლისა პრინცი ლუიტპოლდი.

სოფია. აღმოსავლეთის რუმელიისა და ოსმალეთის გამიჯვნის საქმეში პორტა თანხმა შეიქმნა, რომ დაეთმოს რუმელიას 24 სოფელი კირჯალიის თემისა, ხოლო თავად დაიჭერს იმ ადგილებს, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

რომი. სეფე სიტყვაში, რომელიც წაკითხულ იქმნა ახალის პარლამენტის წინაშე, კოროლმა სთქვა, სხვათა-შორის, რომ იტალიის ყველა დიდ სახელმწიფოებთან მეგობრულის განწყობილებით არისო და ევროპის თანხმობის წყალობით სრულიად აცილებულ იქმნა ის განსაცდელი, რომელიც საშიში იყო მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ქვეყნებშიო.

ბელფასი. რადგანაც ხშირად იწვევენ ერთი-ერთმანერთზე კათოლიკები და პროტესტანტები, გუშინ აქ მრიელ დიდი უწესოება მოხდა: კათოლიკენი თავს დაესხნენ პოლიციას, რომელსაც ჯარი მიეშველა. 5 კაცია მკვდარიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები 3.

სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ თთვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის

31 დღე, შაბათი. წმ. მოც. და ფილოსოფოსისა ერმისა. სომხ. მე-49 დღე აღდგომის შემდეგ. ნახატონაქი. 10 დღე თთვისა რამაზან 1303 წ. ჰიჯრისა. დაბადების დღე იმამის ჰასანისა (სუნიტ. მოძღვრებ.) ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—33. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 3—26; ჩადის 1—40 ნღ.

ივნისი 30 დღით არის.

1 დღე, კვირა. სულის წმ. მოსვლა. წმ. მოწამე იუსტინესი. სომხ. სულის-წმინდის მოსვლა, აღების ლამე ილიას მარხვისა, კათოლ. სულის წმინდის მოსვლა. შობა მათ. უმაღლეს. ოლგა ალექსანდრეს ასულისა და დიმიტრი კონსტანტინეს-ძისა. გენ. ლეიტენანტმა თ. ციციანოვმა გაილაშქრა ტფილისიდამ სპარსეთის წინააღმდეგ, ხოლო გამგეობა საქართველოსი მიანდო თ. ვოლკონსკის, რომელსაც ტფილისში 400 ჯარის კაცი-ღა დარჩა 1804 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—55. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 4—31; ჩადის 2—14 ნღ.

2 დღე, ორშაბათი. წმ. ნიკიფორე პატრიარხისა, წმ. დიდისა იოანესი. სომხ. პირველი დღე წმ. ილიის მარხვისა და მეორე დღე სულის წმინდის მოსვლის შემდეგ. ჭეშმარიტი შუადღე 11—59—5. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—36. მთვარე ამოდის 5—33; ჩადის 2—51 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1-ლ ივნისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა	2½ ›
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3¹/ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	8 ›

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. & 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. & 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. & 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის 3 ს. & 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. & 24 დ წ..

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა თბილისსა და კავკავ შუა.

პირ-და-პირ მსვლელნი დამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 ს:ღ
კავკავიდამ გამოდის 9 ს. დილით.
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება

რუსულ ქართული
ლექსიკონი

ხელ-ახლად გადაკეთებული ასალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ ჩუბინოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

(10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი. (5—4)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.

ისყიდება მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია
ფასი 60 კაპ.
საქართველოს საეკლესიო ისტორია
ფასი 45 კაპ.
მერცხალი
ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлксъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა [illegible] შაურად.

(10—6)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

თხზულებანი

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგი)

პირველი ტომის მეორე ნაწილი.

ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რომელთაც კვიტანცია აქვსთ, სურვილისამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნაწილის მაგივრად პირველი ნაწილი გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში.

(5—4)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(20—7)

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Мая, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.